

ეგრემ მცირე თარგმანის შესახებ

გარდამოცემის შესავალი

1. თარგმანის სირთულე დაკავშირებულია სათარგმნი ტექსტის ჟანრთან და ამ ჟანრის თარგმნის გამოცდილებასთან („საჭირო იყო დატეხვა ენასა ჩუენსა, ვინაითგან სხუაი არარაი ოდეს თარგმნილა საფილოსოფოსთა წიგნთაგანი“)
2. აზრის სიღრმე არ ნიშნავს „უხმარობას გონებისათვის“ და არ არის თარგმანზე, ან გადაწერაზე უარის თქმის მიზეზი (მაგალითია საწინასწარმეტყველოს თარგმანი, შესრულებული სიტყვასიტყვით, ბერძნულთან შეფარდებით, რომელიც არათუ უსწავლელის, არამედ ნასწავლისთვისაც კი რთული გასაგებია. თავადაც ჯერ კიდევ ბევრი თავის აზრი კარგად არ ესმის, მაგრამ, ამის მიუხედავად, ტექსტი ბერძნულთან შეფარდებით, სიტყვასიტყვით აქვს გადმოღებული და არაფერი აქვს დაკლებული). ფილოსოფიური ტექსტის გაგებისათვის საჭიროა მისი მრავალჯერადი წაკითხვა (ფილოსოფიის ჟანრში კი იოანე დამასკელი იმიტომ წერს, რომ მოწინააღმდეგეები – არამართლმადიდებელი ფილოსოფოსები, რომლებიც ისეთ საკითხებზე წერენ, როგორცაა ქრისტეს გვამი, მისი ბუნება, მათივე ისრით განგმიროს).
3. სწორედ ამ მიზეზით – ფილოსოფიური ტექსტი რომ რთულად გასაგებია – აკეთებდნენ მთაწმინდელები ტექსტის ადაპტაციას. მაგ. იოანე დამასკელის „გარდამოცემა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“ ეფთვიმე მთაწმიდელს შემოკლებულად აქვს თარგმნილი (ამ თხზულებას თარგმანში „წინამძღვარი“ ჰქვია).

ვისთვისაც ეფრემისეული თარგმანი რთული გასაგებია, შეუძლია ეფთვიმეს „წინამძღვართ“ ისარგებლოს (ქვემოთ ეფრემი აზუსტებს, რომ ამ სახელით იგი იოანე დამასკელის შრომას არ იცნობს, ეს სათაური ბერძნულად მხოლოდ ანასტასი სინელის თხზულებას ჰქვია. ამბობს ასევე, რომ მისთვის არც ისაა ცნობილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ამგვარი, ეფთვიმეს თარგმანში დაცული ადაპტირებული ფორმა თავად ეფთვიმეს ხელიდანაა გამოსული თუ უკვე ბერძნულში არსებობდა ამგვარი, კომპილაციური ვარიანტი. აქვე მოჰყავს ბერძნულ ენაზე დაცული კომპილაციური კრებულების მაგალითები – „მარგალიტი“, „ევაგილ-კრებული“ და სხვ.).

4. შემატება და კლება მთარგმნელს სული წმიდის მადლით ხელეწიფება (მაგ. ეფთვიმეს) – ეს გამონაკლისი შემთხვევაა. თუ ამგვარ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, ტექსტი სიტყვასიტყვით უნდა ითარგმნოს – პირდაპირ და ტექსტში მთარგმნელისეული ჩარევის გარეშე.
5. რთული ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანის სირთულე მკითხველისათვის დაიძლევა მასზე კომენტარების დართვით. კომენტარები შეიძლება იყოს სხვა წყაროდან მომდინარე და მთარგმნელისეული. მთარგმნელისეული კომენტარების დართვა გამოწვეულია თარგმანისა და სათარგმნი ენის განსხვავებულობით: ზოგიერთ შემთხვევაში აზრის ცხადად გამოსათქმელად ქართული საჭიროებს სიტყვის დართვას. კომენტარი ტექსტს უნდა დაერთოს აშიაზე, ანდა წიგნის თავში – შესავალში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ტექსტში ჩართვა (კომენტარების აშიაზე და შესავალში დართვის მაგალითებად მოაქვს ბერძნული ხელნაწერების მაგალითები). რთულად გასაგები (სამეცნიერო სიტყვის –

- სპეციალური ტერმინის) კომენტარების აშიაზე გატანა მათ სწრაფ ძებნას უწყობს ხელს.
6. ტექსტის გავრცობა, მისი გარდაკაზმვა („მეტაფრასი“-ბერძ.) დასაშვებია მხოლოდ გარკვეული ტიპის ლიტერატურის შემთხვევაში, ასეთია, მაგ. წმინდანთა ამბები, რაც ხშირ შემთხვევაში ამ ამბების შემსწრე ლიტონი ხალხის მიერაა აღწერილი. „გადამეტაფრასება“ ამგვარი თხრობების გამშვენიერებას გულისხმობს, ოღონდ ისე, რომ თავად თხრობას არც არაფერს უმატებს და არც არაფერს აკლებს. რაც შეეხება წმინდანთა და ეკლესიის მამათა ნაწერებს (ამათ შორის სახარებას და პავლეს ეპისტოლეებსაც, რომლებიც ლიტონი სიტყვით არიან აღწერილნი), მათი შეხება სრულიად დაუშვებელია (ასეთ საქმეს სულელი, ანდა უფრო – ეკლესიისგან განვრდომილი თუ იკადრებს).
 7. ტექსტის კითხვის გასაიოლებლად ეფრემს იოანე ფარაკნელის მითითებით შემოაქვს სასვენი ნიშნები – ისე, როგორც ეს არის ბერძნულ ხელნაწერებში და გიორგი მთაწმიდელის საგალობლებში (ჩამოთვლის).

სამოციქულოს თარგმანების შესავალი

1. მთარგმნელი იყენებს წინა მთარგმნელის ნამუშევარს (ეფრემი – გიორგი ათონელის, გიორგი ათონელი – ძველ თარგმანს).
2. უკვე არსებული თარგმანის შეცვლა ხდება, როდესაც: ა) ბერძნული ენის სიღრმის გამო ერთიდაიგივე ადგილი სხვადასხვაგვარი გაგების საშუალებას იძლევა, რის შედეგადაც ზოგჯერ განსხვავდება ტექსტის თარგმანი და მისი კომენტარი (კონკრეტულ შემთხვევაში – სამოციქულოს გიორგისეულ თარგმანი და სამოციქულოს იოანე ოქროპირისეული

განმარტება), ბ) ძველი ტექსტის განსხვავებული გაგების შესაძლებლობა რამდენიმე განმარტებაზე და ლექსიკონზე დაყრდნობით დგინდება, ბერძენ და ქართველ მოძღვართა ნააზრევის შესწავლით.

3. უკვე არსებული თარგმანის შეცვლა ხდება იმისათვის, რომ შემდგომი თაობის ბერძნულის მცოდნეებს მთარგმნელისათვის არ დაებრალებინათ ზედაპირულობა (ის, რომ იგი გამოუძიებლად, წინასწარი შესწავლის გარეშე თარგმნიდა).

გარდამოცემის ბოლოსიტყვა

ლოცვას ითხოვს გაბრიელისთვის, ვინც ამ წიგნის თარგმნა უბრძანა, აგრეთვე თავის დამხმარეებისათვის (კელთილთა მოღუაწეთა, განმაძლიერებელთა და თანამზრდელთა): არსენი იყალთოელის, იოვანე და იოვანე ხუცესებისთვის, სტეფანე დიაკონისა და თავად მისთვის, ეფრემისათვის, რომელმაც, იმის შიშით, რომ შრომას ვერ გაასრულებდა, უგულვებელ-ყო მარხვაში გლოვა საკუთარ ცოდვათა გამო.

ფსალმუნთა თარგმანების (ფსალმუნთა კატენებიანი კრებულის) შესავალი

I. შესავალი. ამ ნაშრომის თარგმნა კადნიერი საქმეა, მაგრამ შენდაობის ღირსიცაა, რადგან წასულები მომავალ თაობას ქაღალდით და მეღნით აუწყებენ სათქმელს.

II. ნაშრომის რაობის განსზღვრა. გიორგი მთაწმინდელს განუახლება და უცთომლად ჰქონია თარგმნილი ფსალმუნი ბერძნულიდან (ფსალმუნთა განახლება მან ორგზის მოახდინა).

ეფრემი საბა სულაღს ძის, თუხარელის კურთხევით და გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების ღოცვით გიორგი მთამინდელის თარგმანს, რომელიც მისთვის მტკიცე საფუძველია, ურთავს ათანასე, კირილე და მათ შემდგომთა განმარტებებს. ათანასეს კომენტარის შესავალი გიორგი მთაწმიდელს თარგმნილი ჰქონდა და ფსალმუნთა თარგმნისათვის შესავლად ჰქონდა დართული. ეფრემი ამ ნაწილს ხელახლა აღარ თარგმნის და აფრთხილებს მკითხველს, რომ ორგზის თარგმნილად არ ჩათვალონ იგი.

III. ფსალმუნთა კომენტარების ისტორია: მაშინ, როდესაც ეკლესიას ფსალმუნის გარდა სხვა საგალობელი არ ჰქონდა, წმინდა მამები მრევლს განუმარტავდნენ ხოლმე იმ ფსალმუნს, რომელიც იმ დღეს იკითხებოდა, როგორც ამას ბასილი დიდის ფსალმუნთა კომენტარები ცხადყოფენ. ეს, შიგადაშიგ განმარტებული ფსალმუნები ბრძნულად ერთ წიგნადაა შეკრებილი და ექვთიმეს მიერ სრულად თარგმნილი.

შიგადაშიგ განმარტებული ფსალმუნების გარდა არსებობს სრულად განმარტებული ფსალმუნი ათანასესი და კირილესი, რომელთაც დავითნის თითოეული მუხლი აქვთ განმარტებული, ზოგიერთი კი – ორ-ორჯერ: ერთი მარტივად და მოკლედ, მეორე კი ვრცლად და ღრმად – გამომეძიებელთათვის. გარდა დასახელებულებისა, განმარტებების ავტორები არიან ევსუქი იერუსალიმელი, ასტერი ამასიელი ეპისკოპოსი. გაგებული აქვს ისიც, რომ ფსალმუნი იოანე ოქროპირსაც ჰქონია გაბნმარტებული. სხვა განმმარტებლები ფსალმუნებისა საეჭვოთა რიცხვში ჰყავს. ბერძნებს მათი (არიოზელები და ორიგენიანელები) განმარტებები კატენურ კრებულებში შეაქვთ. ეფრემი აქებს ასეთ მიდგომას, რადგანაც მიაჩნია, რომ ბერძნებს ძალუძთ არათუ მწვალებლების, არამედ წარმართთა სიბრძნეც კი ეკლესიის სასარგებლოდ გამოიყენონ. ამავე დროს, არც ქართველთა კრძალულებას აძაგებს, რადგანაც

მოციქულის სიტყვით: „ნუ შეჭამენ უძღურნი მწვალებლებთან ერთად“. ამიტომ თავად წმიდა თოდორიტე კვირელის თაფლივით დამატკობელ განმარტებებსაც კი არ თარგმნის კირილე ალექსანდრიელთან მისი კამათის გამო. სხვა კი, მართლმადიდებელი ავტორის ყველა განმარტება ფსალმუნებისა, რომელიც მას სუმეონწმიდას წიგნსაცავებში ჰქონდა ნანახი, მას დიდი შრომით შეუერთებია და უტარგმნია: ცალ-ცალკე არსებული კირილეს და ათანასეს კომენტარები (როგორც მოკლე, ისე – ვრცელი), სხვა ორი წიგნი, სადაც ფსალმუნთა ვრცელი და მოკლე კომენტარები ერთად იყო შეკრებილი (როგორცა ჩანს, კატენური კრებულები), სადაც შიგადაშიგ იყო კირილეს, ათანასეს, ასტერისა და ევსუქის კომენტარები. რადგანაც ხშირად ხდებოდა, რომ წმინდანებს არაწმინდა აზრებს მიაწერდნენ ხოლმე, ეფრემს კურთხევა ჰქონია, არაფერი ეთარგმნა ისე, სანამ ძირფესვიანად არ გამოიძიებდა დედნებს. გიორგი მთაწმიდელმა სათვეო საგალობლები ბევრი დედნის შეერთების შედეგად შექმნა, მისი მსგავსი სისრულის საგალობლების კრებული ბერძნულში არ მოიპოვება. ასეთივე სისრულისაა ის ორი კრებული ფსალმუნთა განმარტებებისა, რომელიც მან ბერძნულად იპოვა და თარგმნა (კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მის თარგმანში მხოლოდ ის ავტორები არაა, რომლებიც წვალების გამო განკვეთილნი არიან ეკლესიისგან). ამ კრებულებს იგი დიდი ხუთშაბათის სახარებას ადარებს. ნოსელის, გრიგოლ ღვთისმეტყველის და სხვათა ფსალმუნთა განმარტებები ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თავად სიბრძნე ღვთისმეტყველისა.

განმარტავს იმას, თუ რატომაა ზოგიერთი კომენტარი მოკლე და ზოგიერთი – ვრცელი.

განმარტავს, რომ კომენტარების სხვადასხვაგვარობა არ მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ანალოგად სახარებები მოაქვს.

არკვევს იმას, თუ რა არის სახისმეტყველებითი (ტროპული) და განმარტებითი (მარტივი, პირდაპირი) კომენტარი.

გამომეძიებელთათვის და სწავლის მოყვარეთათვის ადგენს ფსალმუნებში სხვადასხვა ადგილას გაფანტულ სახისმეტყველებით გამონათქვამთა ანბანზე გაწყობილ არასრულ ლექსიკონს.

განმარტავს ლექსიკონის რაობას: ესაა ანბანზე გაწყობილი ღრმა სიტყვათა განმარტებები, რომელიც, როგორც გარეშე, ისე საეკლესიო წიგნებს შესავლად აქვს ხოლმე დართული. ლექსიკონი საშუალებას იძლევა, რომ საჭიროების შემთხვევაში იოლად იქნას ნაპოვონი საინტერესო სიტყვა. ბერძნული ლექსიკონების ნიმუშებად მოაქვს კონსტანტინე პორფიროგენეტისა და კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილი ლექსიკონები.

ახასიათებს წინასწარმეტყველებათა სტილს: მომავალს წინასწარმეტყველებენ და წარსულს მოიხსენიებენ ხოლმე.

სიმოკლისათვის “დავითნი” ებრაულად იამბიკოთია გაწყობილი, მაგრამ სხვა ენაზე ამ საზომის დაცვა (მოაქვს აპოლინარის მაგალითი, რომლის თორმეტმარცვლიანი თარგმანი გრიგოლ ღვთისმეტყველმა განაქიქა).

ლაპარაკობს ფსალმუნთა რაოდენობაზე, ავტორობაზე, დიაფსალმაზე, რიგზე როგორც ებრაულ, ისე ბერძნულ და გიორგი მთაწმინდელის ფსალმუნებში.

მოძღვრის კურთხევისამებრ გიორგი მთაწმინდელის თარგმანს იგი არსად არ ცვლის.

ფსალმუნთა თარგმანების ანდერძი

ანდერძს ურთავს კრებულის ნახევარის თარგმანის შემდგომ.

კრებულს ეწოდება *თარგმანი დავითისი* – კომენტართა სიმრავლის გამო და *თარგმანი დავითისი* კომენტარების ერთგვაროვნების გამო.

ფსალმუნთა ტექსტი გიორგი მთაწმინდელის უნაკლო თარგმანია, რომელიც არ საჭიროებს გამართვას. კომენტარები კი ახლადაა თარგმნილი.

მოიხსენებს მათ, ვისი წინამძღოლობით, ხელმძღვანელობითა და მატერიალური ხელშეწყობით ასრულებს საქმეს: თავის მოძღვარს – ბერ საბას, ეფრემ უშკელს და მათ მოძღვრებს, მშობლებს, ძმებსა და შვილებს.

ითხოვს მისი, ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელის მოხსენიებას და შეცდომების შენდობას.

წიგნი გადაწერილია შავი მთის სვმეონ წმინდას სანახებში, მამა ეზრას მონასტერში, იოვანე ხუცის მთაარაღსძის ხელით.

ღმერთს სთხოვს სასუფეველში მოიხსენიოს წმინდა მამები ანტონ ტბელი და კვრიკე ალექსანდრიელი.

სამოციქულოს წინასიტყვაობა

როგორც *დავითნის* კომენტარების თარგმანისას, *სამოციქულოს* თარგმნის დროსაც დიდი მოძღვრისა და ყოველი ეკლესიის მნათობის, გიორგი მთაწმინდელის მოწაფეობას იცავს, წინ უდევს მის მიერ თარგმნილი საქმე მოციქულთა და ეპისტოლეები და სამოციქულოს განსამარტ ტექსტს იქიდან იწერს.

რადგანაც ბერძენთა ენა უფსკრულივით ღრმაა და ერთ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, იოანე ოქროპირი დაწვრილებით გამოიკვლევს.

ისეთ ღრმა ადგილებს, რომელთა ქართული თარგმანიც საჭიროებდა შეცვლას, ეფრემ მცირე დიდი გამოძიების (სამ-ოთხ განმარტებაში და ამდენივე ლექსიკონში – ანბანზე გაწყობილი სიტყვების – შემოწმების) შემდეგ ცვლიდა. შეცვლილი სიტყვის გასწვრივ აშიაზე იგი იოტას სვამდა, შეცვლილი სიტყვის თავზე კი ტექსტში – უსაკუთრესს. ამგვარად, ეს ნიშნები მიუთითებენ იმას, რომ გიორგის სიტყვას მცირე შესწორება დასჭირვებია. მიზეზი ამისა ის იყო, რომ გიორგის იგი ძველი პავლეს თარგმანის წაყოლით ჰქონდა დატოვებული, ისევე როგორც *დავითნის* თარგმანში: თავდაორველად მას აქაც ბევრი რამ ძველი თარგმანიდან ჰქონდა გადმოტანილი და მხოლოდ მისი მოძღვრის, გიორგი დაყუდებულის იძულებითა და ბრძანებით უთარგმნია ხელახლა სრულად და წმინდად. ასევე, სამოციქულოს ის სიტყვა, რომელსაც მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, გიორგის ისე ჰქონდა დატოვებული, როგორც ეს ძველ თარგმანში იყო. ასევე იქცევა თვითონაც: განსამარტ ტექსტში უცვლელად ტოვებს სიტყვას, რითაც, უპირველეს ყოვლისა, მოწაფეობას იცავს. და მხოლოდ მაშინ ცვლის, როდესაც ამას განმარტება აიძულებს, რომ განსამარტი ტექსტისა და განმარტების ტექსტის განსხვავებამ არ გაართულოს წმინდა მამათა სიტყვების გაგება. ასეთ შემთხვევაში იგი სამოციქულოს ქართული თარგმანის სიტყვას ასწორებს განმარტებებისა და ლექსიკონების მეშვეობით. ცვლილების საჭიროების მიზეზი ისაა, რომ თვითონ პავლეს ტექსტის (სიტყვის) თარგმანში ქართული ეკვივალენტი შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ განმარტებას აღარ შეესატყვისებოდეს. ამიტომაც იგი განსამარტ ტექსტში არაფერს არ ცვლის, მაგრამ იმისათვის, რომ ტექსტი და კომენტარი შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან, გიორგის სიტყვას აშიაზე და კომენტარში ცვლის. ამით იგი თავიდან იცილებს ბერძნული ენის მცოდნეთა მოსალოდნელ ბრალდებას, რომ ტექსტი გამოუძიებლად არის დაწერილი. მეორე მხრივ, ის თავს იმართლებს

იმათ წინაშეც, ვინც მას დააბრალებს, რომ თვითნებურად შეცვალა გიორგის ტექსტი: ყოველივეს, რასაც აკეთებს ის თავის მოძღვრების – ანტონის და საბას ლოცვას და მამების – ექვთიმესა და გიორგის წინადამაშვრალობას და მათ მეოხებას უმადლის. ყველაფერი რაც კარგია, ამ წიგნში – საბას და ანტონის, ხოლო მცდარი – მისი, ვნების სამკვიდრო გონების ნაყოფი. შენდობას და ღვთის წინაშე მეოხებას ითხოვს მომავალი ქართველების წინაშე მისი უსწავლელობის, სიჭაბუკისა და უღისებისგან გამომდინარე შეცდომებისთვის და განმარტავს, რომ იგი შეძლებისდაგვარად ცდილობდა სისწორის დადგენას ბერძნულთან შედარებისა და ბერძენ და ქართველ მეცნიერ მოძღუართა გამოკითხვის საფუძველზე.

საქმე მოციქულთას ბოლოსიტყვა

მადლობას უხდის ბერს ანტონის, რომელსაც ეფრემი მისმა მოძღვარმა, საბამ, თავის შემდგომ გადააბარა, და რომლის კურთხევით და შემწეობითაც თარგმნა ჯერ პავლეს და კათოლიკე ეპისტოლეების განმარტებები, როგორც უფრო საჭირო და შემდეგ – საქმე მოციქულთას განმარტებები. ანტონის გარდა მისი შემწეები იყვნენ იოვანე ღრამატიკოსი სუმეონწმინდელი და იოვანე [რა]ტეული.

გრიგოლ ნაზიანზელის თექვსმეტსიტყვიანი ჰომილიების თავისა ანდერძი

ეპისტოლეა ბერი კვირიკეს მიმართ. ეფრემის აზრით, ჯერ-იყო, რომ სწორედ მას, ქართული და ბერძნული ენების კარგი მცოდნეს ეთარგმნა ეს სიტყვები. პატიებას თხოვს ამდენი წლის

ურჩობისათვის, უფრო კი შიშისათვის თარგმანის დაწყებისა, რომელსაც “შეუვალში შესვლას” უწოდებს. მისი შიში დაკავშირებული იყო ექვთიმეს მიერ თარგმნილი ტექსტების მეორედ თარგმნასთან. ეფრემი განმარტავს, რომ “შემდგომნი თარგმანნი პირველ დამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებით”. ხოლო თუ ძველ მთარგმნელებთან რაღაცაა დარჩენილი, რაც სხვათა მხრიდან “სააჯმნო ქმნილია” (ასეთი ხარვეზის მიზეზები შეიძლება იყოს: ან სისიწრაფე, ან დედნის და განმარტებების ვერპოვნა, ან ის, რომ შემდგომმა გადამწერებმა გარყვნეს), ეფრემი ასწორებს დიდი გამოკითხვისა და სხვადასხვა წიგნზე, სხვადასხვა მოძღვრების რჩევებზე დაყრდნობით. იფიცებს, რომ შურისა და თავის გამოჩინებისთვის კი არ სჩადის ამას (როგორც ზოგიერთები ამბობენ), რადგანაც “ანბანი ბერძულისა და ქართულისად მათგან მისწავიეს, შემდგომად ღმრთისა და მიერთგან რაღცაღა ვისგან ვისწავლო, მას მათდავე შევჰრაცხ, რამეთუ მათითა ენითა ვზრახავ და მათითა ყურითა მესმის და მათითა ჴელითა ვშურები და უკუეთუ მათითავე ჩემდა დატევებულთა კეტებითა და უროებითა მათსა ახოდ გაკაფულსა და ლოდოვანებისგან ყანობირ ქმნილსა შინა ადგილ-ადგილ სიმაშვრალითა დაშთომილი მათდა ძირი ანუ კიდე აღმოუკაფო, ამას მათსა მათთაგან მათდავე შევწირავთ”.

12 თვეზე მეტი მოუნდა თარგმანს. მართალია, ბერი კვირიკე აჩქარებდა, რადგანაც გარდაცვალების შიში ჰქონდა, მაგრამ ეფრემს არ შეეძლო, რომ ზედაპირულად მიდგომოდა იმ ადგილებს, რომელნიც გამართვას საჭიროებდნენ: პირველად იგი განმარტებებს გამართავდა ხოლმე, მაგრამ არც ამას დასჯერდებოდა და ბევრი რამ ანტიოქიაში გამოიკითა წერილობით იქაური საპატრიარქოს ფილოსოფოსებისა, მიტროპოლიტებისა და თვით პატრიარქისაგან.

გასაკვირი არაა, რომ ასეთ ადგილებს წმიდა მამამ, ექვთიმემ, გვერდი აუარა. იგი ქართველების სიჩვილეს რძითა და მხლით ზრდიდა.

ახლა კი, მის მიერ აღზრდილ ერს მისივე მადლით მაგარი საკვები სჭირდება. პავლე მოციქულის სტილს მიჰყვებოდა: გრიგოლ ღმრთისმეტყველის წიგნს – ღვინოს წყლით აზავებდა, ანუ, ღვთისმეტყველის ლაკონურ სიტყვას განავრცობდა ლიტონი ერისათვის.

კვირიკემ კი ეფრემი აკურთხა, ექთიმეს ჩართულები გამოეტოვებინა და მხოლოდ ღვთისმეტყველის სიტყვები დაეტოვებინა. ეფრემს თარგმანში დრო იმიტომაც წაუვიდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძველი თარგმანი წინ არ ედო, ზეპირად ახსოვდა და უნებურად ჩართავდა ხოლმე ტექსტში, მაგრამ არ იზარებდა წაშლას და დედნის შესაბამისად დაწერას.

მოიხსენებს ბასილი გრამატიკოსს და იმათ, ვინც მას ბერძნული დედანი – უცთომელი და სარწმუნო გაუმართეს.

ითხოვს მკითხველისაგან, რომ ძველი, ექთიმეს თარგმანი არ დაუტევონ, რადგანაც იგი “ყოველთა ეკლესიათა ზედა განფენილი ბრწყინავს, ხოლო ესე იშუთ ვიეთსამე იღვას გულისკმისმყოფელთათვის (პირველი მთელი ეკლესიისათვისაა, მეორე – ვიწრო წრისათვის), ესე ცხად-ჰყოფენ სიტყუა-სიმოკლესა და სიღრმესა დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა, ხოლო იგი – სიტყუა სივრცესა და განათლებასა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმესსა”. ძირითადი სიმძიმე სწორედ ექთიმეს აქვს დატვირთული ქართველთა ურემზე, ეფრემი კი მხოლოდ დაცვენის ნაფორტებს კრეფს. ეფრემი აფრთხილებს მკითხველს, რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტის მიფარულობამ (ბუნდოვანობამ) და მისი თარგმანის ექთიმესაგან განსხვავებამ (რადგანაც ექთიმე ცვლიდა ტექსტს “ერისა არმინდობისათვის”) შეიძლება დააბნოს: რომ მას მცირეოდენიც კი არაფერი შეუცვლია ტექსტში.

თეოდორიტე კვირელის *ფილოთეონ (ღვთისმოყვარეთა)* ისტორიის შესავალი

ამ ტექსტის თარგმნა მოხდა ბერი ანტონის კურთხევით. თარგმანის შესახებ: ამ წიგნს ბერძნულადაც და ქართულადაც სიტყვის სიღრმე აქვს, რომლის გამარტივება ძნელი არ იყო, მაგრამ ეფრემმა ირჩია დაეცვა ბერძნულის “ხატი და მოქცევი სიტყვათადა“, და იმედს გამოთქვამს, რომ ასეთი თარგმანი არ იქნება უხმარი მათთვის, ვინც უკვე დიდი ხანია, მარტივი სიტყვის რძით იზრდება და უკვე მიწვევნილები არიან მტკიცე საკვების მოქენეთა ასაკს. „სიტყვათა მოქცევის“ რამდენიმე მაგალითად ასახელებს, ერთ-ერთი ამათგანია: *მონასტრის* ნაცვლად ხმარობს *არვეს*, *სიბრძნისსაწურთელს*, *სტადიონს*. მიაჩნია, რომ ასეთი „სიტყვათა მოქცევა“ და „თხზულება სიტყუისადა“ სასარგებლოა სწავლის მოყვარეთა და კეთილად გამომეძიებელთათვის მათი ყფრო ღრმა წიგნებისათვის მოსამზადებლად.

ბასილი დიდის *ასკეტიკონის* ანდერძი

თორმეტ წელზე მეტი ელოდებოდა ბასილი დიდის ასკეტიკას, რომელიც მღვდელმა პროკოპიმ თარგმნა. ჟამთა სიავისა და კაცთა სიგრილის გამო არავინ მოიტანა არც “ზემოთ“, არც სამეფოდან. ამიტომაც სასოწარკვეთილმა, ანტონ ტბელის კურთხევით დააჩქარა თარგმნა მისი მომლოდინებისათვის. თარგმნა იმ აზრით, რომ, თუ მოაღწევდა, მკითხველს ანტონისი, როგორც უხუცესისა, ისე უნდა მიეღო, მისი, ეფრემისა კი – როგორც უმრწემისა. ამასთან, მკითხველს აფრთხილებს, რომ შესაძლო განსხვავებებმა არ გააკვიროს, რადგანაც ასეთივე განსხვავებებია ბერძნულშიც. მაგ.

სვიმეონწმინდის ორ წიგნის საცავში *ასკეტიკონი* სხვადასხვათი აჭარბებს ერთმანეთს.

გრიგოლ ნოსელის გრიგოლ საკვირველმოქმედის ცხოვრების ანდერძი

თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად მღვდელის, გაბრიელის ბრძანებით.

ამბობს, რომ სხვაა გრიგოლ საკვირველმოქმედის ის ცხოვრება, რომელიც ადრე გვექონდაო და სხვა – გრიგოლ ნოსელისა. ეს უკანასკნელი გიორგი მთაწმინდელს თარგმნილი ჰქონია, მაგრამ უამთა სიავისა და გონების უღებების გამო, შავ მთაზე ამ თარგმანს არ მოუღწევია. ამიტომ, განმარტავს, რომ მღვდელი გაბრიელის ბრძანებით თარგმნა და არა კადნიერებით ხელახლა თარგმნა ეკლესიის მნათობის, გიორგის თარგმნილი, რომლის უმჯობესის თარგმნა მასზე უპირატესის, ექვთიმეს მიერაც კი არ იყო საგონებელი.

IV ეტაპი – გელათის სკოლა. აგრძელებს და აღრმავებს შავი მთის ტრადიციებს სათრგმნი ტექსტების რეპერტუარისა და თარგმანის ტექნიკის თვალსაზრისით. ხასიათდება თარგმანის უკიდურესად ელინოფილური სტილით. ითარგმნება ეგზეგეტიკური, ფილოსოფიური შრომები. იოანე პეტრიწი ამ სკოლის სიმბოლოა.

„არა ვეც რული თვალთა ჩემთა, არცა სასუენი წამთა ჩემთა, ვიდრემდის არა მომხედნა მე გონებითმან ცისკარმან და აღვიშურვე ტომისათვის გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბრიონთაგან“ (იოანე პეტრიწი, „განმარტება პროკლე დიადოხოსის ღვთისმეტყველების საფუძვლებისა“)